# სამშობლო

წ. I 1915 წ. შაბათი 4 აპრილი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ... 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 48 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 48


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

---

ჲიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

## „სამშობლო“

**ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით**

**გაზეთი ღირს:**

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი.
ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ.
ადრესით. **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.**
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს გვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**

---

კვირას, 5 აპრილს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ჭიათურის საბჭოს

### ექიმის სიმონ სპირიდონის ძის ქვარიანის

სულის მოსახსენებლათ, რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა თამარა მიხეილის ასული, დედა ივლიანა სიმონის ასული, ძმა კონსტანტინე სპირიდონის ძე და რძალი ნინა ლუკას ასული ქვარიანები. პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე.

1—1—146

---

აზნაური დომენტი ივანეს-ძე შერაშენიძე და შვილები მისი კონსტანტინე (კოტე), ნინა და ჟორჟიკა შერაშენიძეები და შამშე ეფრემის ძე რუსაძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა გარდაცვალებას პირველი ძვირფასის მეუღლისას, მეორე, მესამე და მეოთხე საყვარლისა დედისას, ხოლო უკანასკნელი დაუვიწყარი სიდედრისას,

### დარია (დარიკო) ნაზაროვის ასულის შერაშენიძისას,

უმორჩილესად გთხოვენ, რათა პატივი სცეთ და მობრძანდეთ მიცვალებულის გამოსვენებაზე, ამა აპრილის 5-ს, დღით კვირას, შუადღის 12 საათზე, ქალაქ ქუთაისში, მესხეთის ქუჩის შესახვევში, თომა ნიჟარაძის სახლში და მობრძანებითა თქვენითა ანუგეშოთ უზომოთ დამწუხრებული ჭირისუფალი მისი.

---

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის

## „ძმათა პასხალიდის“ აბრეშუმის თესლი

უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში

### ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში;

**ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის** კანტორაში და ახალსენაკში **ილია იაკიმიდის** მაღაზიაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე.

თ. 69.

---

**ქალაქის თეატრი**

## გასტროლი ნინო ჩხეიძისა

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ დღეს, 4 აპრილს, **ნინო ჩხეიძის** მონაწილეობით წარმოდგ. იქნება ცნობილი პიესა ებრაელთა ცხოვრებიდან

## ი ვ დ ი თ ი.

ტრაგედია 5 მოქ. თარ. ივანე მაჭავარიანისა.

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი,**

**დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე**

ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი,

**ფასები ჩვეულებრივია.**

**ანონსი:** ხვალ 5 აპრილს უკანასკნელი გასტროლი ნ. ჩხეიძისა. წარმოდგენილი იქნება **„ქალის სამშობლო“.**

---

ქ. ქუთაისი

მოსკოვის ფირმის განყოფილება

ამხანაგობა

## „ნ. უდალოვი და ი. ვასილოვი“

გიმნაზიის ქუჩა საკუთ. სახლი.

## თომას კვირაში

30 მარტიდან 4 აპრილამდი

დანიშნულია

# დიდი იაფი ვაჭრობა

ყოველგვარ სამანუფაქტურო საქონლისას.

---

ელექტრო-თეატრი **„რ ა დ ი უ მ ი“.**

დღეიდან, ხუთშაბათი, 2 აპრილი, ნაჩვენები იქნება ბრძოლის ახალი გეგმა

**სენსაცია!** **სენსაცია!**

## მარსელიეზი

1792 წ. საფრანგეთის ჯარის გამარჯვების სიმღერა. (საიდან წარმოდგა ეს სიმღერა).

### „ვანდი ტრორიმონ და ვიგო ლორენი“

დრამა სამ მოქ. შესრულებული საუკეთესო მსახიობებისაგან.

პიანისტი ა. ო. ოქსენგაუტი, მოწ. კიევის კონსერვატორიისა (პრ. პუხალისა) დაუკრავს მარსელიოზას.

### რუსული სამხედრო ქრონიკა

გამოც. პეტროგრადის სკობელევის კომიტეტისაგან.

### მესამე სერია. ავსტრიის საზღვარზე

ნამდვილიდან.

### ალყა შემორტყმული ახალად ჯვარდაწერილები

კომიკური სურათი.

**დასაწყისი საღამოს 6 საათზე.** **ფასები ჩვეულებრივია.**

**ანონსი:** ორშაბათიდან, 6 აპრილიდან, **„ქმარი“.** **არციბაშევის** რომანი 4 ნაწილათ. უმთავრეს როლს შეასრულებს ქუთ. საყვარელი მსახიობი **ვარიაგინი.**

---

## გაფრთხილება.

## ს/ს გოკიელოვის—შ-ბი

ქუთაისში

**ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს,** რომ **გაზეთებში** გამოჩდა ცნობები შესახებ იმისა, რომ **ზოგიერთი თესლის გამყიდველები** სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხალხში. ამისათვის გასულ წლების მსგავსად წელსაც

### ხ. ხრისტოდულიდის

მიუცილებელ საჭიროდ ვცანით, რომ თესლის მყიდველნი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, გავაფრთხილოთ: **დააკვირდით ჩვენს ფირმას**—გარეთ კოლოფს აქვს **იარლიკი ქართული წარწერით** (თეთრ ქაღალდზე) და ასვია **„შტემპელი“**, აწერია **„ს/ს. გოკიელოვის შ—ბი“**. შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის **„შტემპელი“** რუსულ-ქართული წარწერით **„ხ. ხრისტოდულიდისის“** და **ს/ს გოკიელოვის შ—ბის“**, აქვე დასმულია **ლუქით ბეჭედი**, რომლის სიმთელეს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ **კოლოფს ირგვლივ შემოყოლებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს.** თ.

### თესლის გაყიდვა გძელდება.

---

### გამოცდილი რუსი მასწავლებელი ქალი.

სპეციალისტი რუსულსა და მათემატიკურ საგნებში ამეორებიებს და ამზადებს მოსწავლე ქალებს ყველა კლასისათვის. თანახმაა იმასწავლებლოს სოფლათაც.

**მისამართი:** ძველი თფილისის ქუჩა, სახლი ცნობილაძისა, ბინა მასწავლებელ ფიოლკოვისა.

5—5—135

---

### სტუდენტი, **უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელი**—ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლების ყველა კლასისათვის. აგრეთვე უმაღლეს დასაწყისი და ორკლასიან სასწავლებლის მასწავლებლად, „ჩინზე“ და აფთიაქის მოწაფეთ. შეიძლება მოწაფესთან სახლში სიარული.

მისამართი: **ძველი თფილისის ქუჩა ჟორჟოლიძის სახლი.**

14—5

---

**კბილის მენადარიშრილი და ტრუფაექიმები. ნოვა.** დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

---

### სტუდენტი

### ვარლამ ფერაძე (9 წლის პრაკტიკით)

**ვამზადებ და ვუსწორებ** გაკვეთილებს ყველა კლასების მოწაფეებს **ყველა საგანში.** (სპეც.: რუსული, ლათინური, მათემატიკა და ფიზიკა). შედგა ჯგუფები სხვადასხვა კლასისათვის, აფთიაქის მოწაფეების, ჩინზე, სიმწიფ. მოწმობ. და სხვა.

მისამართი: ჭავჭავაძის ქუჩა, ციხის იქით, იკითხეთ დეჟავას მაღაზიაში დევიძის სახლი.

14—12

---

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

---

**ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

# ომი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**პეტროგრადი.** 2 აპრილი. უმართებულეს სენატს მისი იმპერატორებითის უმაღლესი უქაზით ებრძანა ახლათ ჯარში გაწვეულთა გარდა 21 მაისისა, 17 ენკენისთვისა, 7 ნოემბრისა და 24 დეკემბრის 1914 წლ. უქაზების თანახმათ, გაიწვიოს პირველი ხარისხის ოპოლჩენცები, რომელთაც ჯარში არ უმსახურნიათ 1915 წ. ვიდრე 1900 წლ., რათა შევსებული იყოს სათადარიგო ბატალიონები და ოპოლჩენცების ნაწილები. ვბრძანებთ მოწვეულ იყვნენ ახალგაზრდანი, რომლებიც პირველი ხარისხის ოპოლჩენცებათ ითვლებიან და ჯერ ჯარში არ უმსახურნიათ 1915 წ.—1900 წლამდი იმპერიის ყველა გუბერნიებისა და ოლქებისა, გარდა შემდეგი გუბერნიებისა: ბაქოსი, ვარშავისა, ქუთაისისა, კელეცისა, ლომჟისა, ლიუბლინისა, პეტროკოვისა, პლოცკისა, რადომისა, სტავროპოლისა, სუვალოვისა, ხოლმისა, და ერივნისა; ოლქებისა: შავი ზღვისა, ამურისა, ბათომისა, დაღესტნისა, კამჩატკასი, კუბანისა, ყარსისა, სახალინის

ზღვის პირისა, თერგისა და იაკუტისა. ბაქოს ოლქებისა: ზაქათალისა და სუ-ხუმისა, მაზრებისა: ალექსანდროვისა, კემსისა, მეზენსისა, პეჩერისა და პინეგი-სა. არხანგელის გუბერნიისა: თურუხა-ნისა და უსინის მხარესი, ენისეის გუ-ბერნიისა: გროდნისა და სოკოლისა, გროდნის გუბერნ. კირენისა, ირკუტს-კის გუბერ. კარკარალინისა, უსტ-კამე-ნოგორისა და ზაისანისა, სემიპალატინის ოლქისა: ბერეზოვისა და სურგუტისა, ტობოლის გუბერნ. კალმიცკისა და კირ-გიზისა, ასტრახნის გუბერნიისა და ოლ-ქებისა: თურქესტანისა. პირველი ხარისხის ის ოპოლჩენცები, ვინც ჯარში იმსახურა და ვისაც არ უმსახურნია 1915—1910 წლის ვადისა, თურქესტანის საგენერლო-გუბერნატორის მართველობის მთელი ოლქებისა. პირველი ხარისხის ის ოპოლ-ჩენცები, რომლებსაც ჯარში არ უმსა-ხურნიათ 1915—1900 წ. ვადისა, ფინ-ლიანდიის დიდი-სამთავროსი. პირველი ხარისხის ის ოპოლჩენცები, რომლებსაც ჯარში არ უმსახურნიათ 1915—1900 წ. ვადისა შემდეგი გუბერნიებისა: ეკატე-რინოსლავისა, ტავრიდისა, ხერსონისა, სამარისა, ორენბურგისა, უფისა, ხარ-კოვისა, ვორონეჟისა და ტომსკისა და ოლქებისა: თერგისა, აკმოლინისა და სემიპალატინისა. უმართებულესი სენატი არ დააყოვნებს და მოახდენს შესაფერ განკარგულებას უმაღლესი უქაზის სის-რულეში მოსაყვანათ, რაზედაც მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა სა-კუთარის ხელით აწერს: ნიკოლოზ. ცარსკოე სელო, 29 მარტი, 1915 წლ. შეამოწმა სამხედრო მინისტრმა გენერალ-ადიუტანტმა სუხომლინოვმა.

**პეტროგრადი.** 2 აპრილი. სალამოს ნორტუმბერლენდის ნაპირებს ცეპელინებ-მა ყუმბარები დაუშინეს. ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ ორშაბათს ოსმალებ-მა, ქურთებმა და არაბებმა რიცხვით 23000 კაცმა 23 ზარბაზნით მესოპოტა-მიაში შამბასთან ინგლისის ჯარზე იერი-ში მიიტანეს. სამშაბათს ინგლისელებმაც თავის მხრით შეუტოვეს მტერს და ჩრდი-ლოეთისკენ დაახევინეს, 18 აფიცერი და 300 ჯარისკაცი დაატყვევეს, ორი ზარბაზა-ნი და რამდენიმე დროშა იხელთეს. ინგლი-სელების მხრივ მოკლული არავინ არის, დაჭრილია 4 აფიცერი, 23 ჯარისკაცი და 65 ინდოელი.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 2 აპრილი. სალამოს ოფი-ციალური ცნობა. გუშინ სალამოს რე-რიობაკთან გერმანელების თხრილი დავი-ჭირეთ, მაგრამ მტერმა ისევ წაგვართვა. ღამით მტერს წავართვით ახალი თხრი-ლი და ზედ გავმაგრდით. შამპანში პერ-ტის რაიონში გერმანელების ქვეითა ჯა-რის რაზმი შეეცადა თხრილიდან ამოსვ-ლას, მაგრამ ჩვენი ცეცხლით შეჩერებუ-ლი იყო. გუშინ სალამოს ეპარჟთან მტერს კომბრიდან იერიში უნდა მოეტანა, მაგრამ ჩვენი არტილერიის ცეცხლით შეჩე-რებული იყო. აიისის ტყეში ჩვენი ფრონტი გავაფართოვეთ და მტრის კონტრიერიში მოვიგერიეთ. მარმარის ტყეში ჩვენ წინ წავიწიეთ და ჩვენი ხაზიდან დასავლეთით მტრის ყველა კონტრიერიში მოვიგერიეთ, ამასთან მრავალი დავატყვევეთ, ერთი ზა-რბაზანი, რამდენიმე თოფი და სამხარი მასალა ვიხელთეთ.

**პარიზი.** 2 აპრილი. დღის ოფიცია-ლური ცნობა. გუშინდელ ცნობის აქეთ შესანიშნავი არაფერი მომხდარა გარდა იმისა, რომ მტრის ცეპელინს უნდოდა პაეროდრომ ბოისელზე ორი ყუმბარა ჩა-მოეგდო, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. მოკლულია სამი კერძო პირი. გერმანე-ნელების ორი ავიატორი იძულებული იყო ჩვენი ჯარის ადგილმდებარეობის საზღვრებში ჩამოშვებულიყო: ერთი ბრენ თან ჩამოეშვა და მეორე ლიუნევილთან. ორივე ავიატორი დავატყვევეთ. მესამე ავიატორმა ჩვენს წინა პოზიციებამდი ვერ მიაღწია და ორნასთან ვერდენის ჩრდი-ლოეთით ჩვენს ხაზებიდას 600 მეტრის მანძილის სიშორეზე ჩამოვარდა. მფრი-ნავი დაიჭრა.

**ოსმალეთის ასპარეზი.**

**თეირანი.** 2 აპრილი. ოსმალები ქერ-მანშახს ეკვეთნენ, სერპუი დაიჭირეს. რუ-სეთისა და ინგ. ელჩები და ბანკების განყო-ფილებები ხანადანს გადავიდნენ. თეირანის კაბინეტს მოლაპარაკება აქვს ოსმალეთის ელჩთან კონფლიქტის ჩასაქრობათ. კას-რიშირონის რაიონში ოსმალეთის ჯარის მოძრაობა არა სწყდება.

**სოლუნი.** 2 აპრილი. მიტილენიდან იტყობინებიან, რომ ოსმალები სმირნისა და კასტრაკის სიმაგრეებს აფართოებენ, აშენებენ ავრეთვე ორ ფორტს, რომლე-ბიც უკანასკნელ ყუმბარების დაშენის დროს დაზიანდნენ.

**პეტროგრადი.** 2 აპრილი. ოფიციალუ-რი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 31 მარტს, ზღვის პირის რაიონში სროლა იყო. ართვინის რაიონში ოსმალები შე-ეცადნენ იერიშის მოტანას, მაგრამ უკუ-ქცეულ იქნენ. ოლთინის გზით სროლა იყო. სხვა ადგილებში მდგომარეობა უცვ-ლელია.

# სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრ. დეპ. სააგენტ.

**ლონდონი.** 1 აპრილი. ნიუიორკიდან იტყობინებიან, რომ გერმანიის ელჩის მემორანდუმი დღეს ადგილობრივი პრე-სის რისხვისა და გულისწყრომის საგნათ გადაიქცა.

**სტოკჰოლმი.** 1 აპრილი. გარეშე საქ-მეთა მინისტრის განკარგულების თანახმად აქაური ბელგიის ელჩი რობერგი შვეციის კომისიის წევრობის თანამდებობიდან და-თხოვნილ იქნა. რობერგმა გერმანიას მხა-რი დაუჭირა ისეთ საკითხის გარჩევის დროს, რომელიც ინგლისის ინტერესებს შეეხებოდა. პრესა ფიქრობს, რომ რო-ბერგი იმ ორგანიზაციას უნდა ეკუთვნო-დეს, რომელიც პირველი საჭიროების საგნების გაზიდვის საქმეს აწარმოებდაო. გეტებორგის ცნობით შვეციის დელეგა-ტები გერმანიას გაემგზავრენ უკანვე მი-საღებათ იმ საქონლისა, რომლითაც გე-მი „ენგლანდი“ იყო დატვირთული. ბერ-ლინში ყოფილა საზოგადოება, რომელიც კონტრაბანდით შემოტანილ საქონელს ყიდულობს.

ამ საზოგადოებამ უარი განაცხადა დაე-სახელებინა ის პირები, რომლებიც ამ საქმეში შუამავლობენ.

**რომი.** 1 აპრილი. გერმანიიდან ამე-რიკაში ფოშტით გაგზავნილი რამდენიმე ათასი ამანათი კიასოში დაიჭირეს და გერმანიაში უკანვე გზავნიან, რადგანაც საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებმა განაცხადეს თავისი გადაწყვეტილება და-იჭირონ იტალიის ყველა გემი, რომელ საც ამერიკაში მცხოვრებ გერმანელების სახელზე საქონელი მიექონება.

**ლონდონი.** 2 აპრილი. ინგლისელ 30000 ქალმა სურვილი განაცხადა თო-ფის მომმზადებელ ქარხანაში მუშაობა-ზე, სამაგიეროთ მამაკაცებს შეძლება მიეცემათ ჯარში ჩაეწერონ.

**პარიზი.** 2 აპრილი. მსახიობთა დილა-ზე, რომელიც პრეზიდენტ პუანკარეს თავ მჯდომარეობით გაიმართა დაჭრილთა სა-სარგებლოთ, ვივგანმა სიტყვა წარმო სთქვა და სხვათა შორის სთქვა, რომ სა-ფრანგეთს შეუძლიან ზავის შესაძლეობაზე ილაპარაკოს მხოლოდ მაშინ, როდესაც თავის ტერიტორიას მთლიანობით უზ-რუნველყოფს, ბელგია თავის საზღვრებში აღდგენილ იქნება, მტრის მილიტარიზმი დაიმსხვრევა და ამნაირათ ევროპაც გან თავისუფლებული იქნებაო.

**როგორ შეხვდა ახლანდელ ომს სა-ფრანგეთის სოფელი.**

საგულისხმო სურათს გვიხატავს გაზეთ „დენის“ კორესპონდენტი რუსი-ქალი, რომელიც ომის გამოცხადების პირველ ხანებში საფრანგეთის ერთ პატარა სო-ფელში მოხვდა და სოფლელებთან ერთად ომში გაწვეულთა ოჯახების დახმარების მოწესრიგების საქმეში ენერგიულ მონა-წილეობას იღებდა.

„ომმა ჩვენ, სწერს ზემოხსენებული კო-რესპონდენტი ქალი, საფრანგეთის ერთ საუცხოვო ბუნებით შემკულ პატარა სო-ფელში, ბრეტანში მოგვისწრო. ხმები ომის შესახებ ერთი კვირით ადრე გა-ვრცელდა სოფელში, მარა არავის სჯე-როდა, რომ ის სინამდვილეთ გადაიქ-ცეოდა.

მობილიზაციის გამოცხადებამ კი ყვე-ლა ერთბაშათ დაარწმუნა ამ საშინელე-ბის მოახლოვებაში და მთელი სოფელი სასოწარკვეთილებამ მოიცვა. არ დარჩა არც ერთი ოჯახი, რომ იქედან არ გაე-წვიოთ ჯარში: ან ძმა, ან შვილი, ან თვით მამა; ამ სახით მთელი სოფელი სულ რაღაც ორ დღეში ვაჟკაც მამაკაცე-თაგან დაიცალა: დარჩენ მოხუცნი, ქა-ლები და ბავშვები.

ამ სოფელში რამდენიმე რუსიც ცხოვ-რობდა, რომლებიც მახლობელ ადგილო-ბრივ ბანკიდან საბანკო ბილეთებით იღებ-დენ ფულს; ახლა ომის გამო ბანკმა შეწყვიტა ფულის გაცემა და რუსებიც უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნენ. რამ-დენიმე დღე ისე გავიდა, რომ არც ფუ-ლი და არც სანოვაგე რამ აღარ ეშოვე-ბოდათ: ისხდენ მშიერნი, ხელცარიელნი და რაღაცას ელოდენ... მართლაც საი დანლაც მოულოდნელათ მათ ბინაზე შეიჭრა სოფლის მედუქნის პატარა ქალი და რუსებს რძე შესთავაზა: გაეგოთ, რომ მათ ფული აღარ ჰქონდათ.

როცა რძისთვის დუქანში შევედი, ამ-ბობს თავის-თავზე კორესპონდენტი—იქ მახლობელ გლეხის ქალების მთელი გრო-ვა დამიხვდა; გაჩაღდა საუბარი და ყო-ველ მხრიდან მეკითხებოდენ: რამდენი ჯარი ყავს რუსეთს? რას ფიქრობენ? რუ-სები „გილიომზე“? ერთ თვეზე მეტს გას-ტანს ომი. და სხვადასხვა... ყველა კითხ-ვაზე რომ პასუხი მივეცი და რძით ხელ-ში ბინაზე წამოსვლა დავაპირე, რამდენი-მე მათგანმა შემაჩერა და ტკბილი თანა გრძნობით მკითხა: კიდევ ხომ არაფერი გჭირდებათ? პური გაქვთ? ეს ისეთი კი-ლოთი იყო ნათქვამი, იმდენი გულახდი-ლობა და სიყვარული იხატებოდა მათ შეკითხვაში, მეც იმდენი ლოლინით და განცდილ შთაბეჭდ[illegible] და ნერვები აშლილი, რომ იმ მო-მენტში მათ [illegible] მომერია და პასუხათ მხოლოდ ცრემლე-ბი წამსკდა. ჩემი ატირება თითქო ნიშა-ნი იყო, რომ ყველა იქ მყოფნი ერთ ხმათ აქვითინდენ, გარდა მოხუცისა, რო-მელმაც ყვირილი ასტეხა, გაჩუმდით სირ-ცხვილიაო და მერე გულმტკივნეულობით მისაყვედურა: როგორ არა გრცხვენიათ, რომ ერთი კვირა უპუროთ ზიხართ და მეზობლებს არ მოგვმართეთ: ჩვენ ხომ თავისიანები, თქვენი ახლობლები ვართო.

რამდენიმე დღეს კიდევ არ მოგვივიდა ფული და ჩვენ იძულებული გავხდით სოფლის თვითმართველობისათვის, „მე-რისათვის“ მიგვემართნა. თვითმართვე-ლობამ „ბონები“ მოგვცა, რომლითაც პურსა და მწვანილეულობას საკმაოთ ვღებულობდით. ამ ყოფით გავატარეთ ამ სოფელში თითქმის სამი თვე და სოფ-ლელნი ყოველთვის დიდ თანაგრძნობას გულითად დახმარებას გვიწევდენ.

მათი მოპყრობა-დახმარება იყო გულ-ახდილი და გულუბრყვილო: არც პრანჭ-ვა-გრეხა, არც ბაქიობა და არც თავმო-წონება მათ ქცევაში არა ჩანდა; თითქ-მის ყოველ სალამოობით მოგვიკაკუნებდა რომელიმე მათგანი ფანჯარაზე და გვა-წვდიდა სხვადასხვანაირ სანოვაგეს: ზოგს ერბო-კარაქი მოჰქონდა, ზოგს ახალი თევზი; ან კიდევ ზოგს კალთით მოჰ-ქონდა: ლობიო, ცერცვი, კარტოფილი და მუხუდო. ჩვენ უარს ვეუბნებოდით, მარა ეს მათზე არ მოქმედებდა და ისინი ამას ყურადღებას არ აქცევდენ: უხვი ძღვენის ზიდვას ჩვეულებრივ განაგრ-ძობდენ.

თითქო ომმა ამ ხალხს გაუღვიძა და გაუძლიერა ღრმად სადღაც სულის კუნჭულში მიმალულ—მიჩქმალული სი-ყვარული და თანაგრძნობა მოყვასისადმი. ჩვენ ახლა მათთვის შორიდან მოსული „უცხოელი მოაგარაკენი“ კი აღარ ვი-ყავით, არამედ მათი ნამდვილი მეზობ-ლები, მათი ჭირისა და ლხინის მოზია-რე მოყვრები შევიქენით.

მათ ჭირდებოდათ მამაკაცის დამხმარე ხელი მეურნეობის წარმართვაში: მინდვ-რათ, ბაღებში, ბოსტნებში და ვენახებში და ჩვენც, როგორც შევეძლო, ვეხმარე-ბოდით.

კერძოთ მე მალე ახალი საქმეც გა-მომიჩნდა. სოფლის თვითმართველობამ,

# გიორგი მესამე.

დრამატიული ეტიუდი 4 მოქმედებათ უგან. თ-დ. გიორგი მიხეილის ძის შარვაშიძისა*).

**მომქმედნი პირნი.**

გიორგი მესამე—ივერიის მეფე.
თამარი—მისი ასული 17 წლის.
რუსუდან—მეფის და.
დავით სოსლანი—ოსთა მთავრის ძე.
დიმიტრი (დემნა)—მეფე დავით IV ძე.
გაბრიელ—ბერი, ოსტატი დემნასი.
იოანე ორბელიანი—დემნას გამზდელი, ამირ-სპასალარი.
ლიპარიტ—იოანეს ძმა.
ჯაყელი—გადაყენებული მთავარი სამცხსოი-სა. (60 წ.)
შალვა—მისი შვილი.
უბარსან ჯავახიანი—მანდატურთ უხუცესი.
მიაგული—ჯავახიანის და, ქვრივი (28 წ.)
თადეოს გამრეკელი—მსახურთ უხუცესი.
სარქის მხარგრძელი—ტაშირის ერისთავი.
ზაქარია „ „—ამის შვილი, ახალგაზდა ჯარის უმა.
შოთა მესხი—ახალგაზდა ჯარის უმა.
წავქისელი—თვიკალი როქისპისა.
ყაითაძე—მხედარი.
ერისთავნი, ამირ-სპასალარი, ჯარის უმანი, ბანოვანნი, მანდატურნი, გუშაგნი, შიკრიკნი, თვიკალნი, მხედარნი, საბანგნი, ბაზიერნი, ქონდაგარნი და ზანგნი მეხშენი.

**მოქმედება I.**

სცენა წარმოადგენს პალატს, მეფის სრაში, ისანს. სხედან ერისთავნი. დგანან ხელისუფალნი და შიკრიკნი. შემოდის პირველ—მანდატურთ უხუცესი ჯავახიანი, ამას მოყვება შორი ახლო მეფე და მოჰყავს თამარი, ამათ მოყვებიან რუ-სუდან და სოსლანი. ბოლოს დარბაისელნი ქალნი და ვაენი. სულ ბოლოს მსახურთ უხუცესი.

**ჯავახიანი.** (კარებში) მეფე მობრძანდება. (ყველა ადგება და მდაბლათ თავს დაუკრავენ. მეფე და დედოფალი უპასუხებენ. სხდებიან მომაღლო ტახტზე დადგმულ სავარძლებში. მეფე და რუსუდანი თამარს შუა სკამს დაუთ-მობენ დედოფლის უკან დადგებიან მიაგული და სხვა ბანოვანნი; მეფის უკან სოსლანი, შალვა ჯაყელი, შოთა მესხი და ზაქარია მხარ-გრძელი; ჯავახიანი და გამრეკელი დასდგებიან ერთად ხელის უფლის წინ, მარჯვნით, სცე-ნის სიღრმეში.)

**მეფე.** (ჯავახს) დედოფალსა, ასულსა ჩემსა გააცან ერისთავნი. (ერისთავნი წამოდგენ ჰწკარად. ჯავახი ამბობს მათს სახელებს. ისი-ნი ხელზე ემბორებიან და უჯდებიან.

**ჯავახი.** კახთ ერისთავი—ამირან ჩო-ლოყაშვილი.

იმერთ ერისთავი—სოლომონ კახაბე-რიძე.

ოდიშის ერისთავი—ელიზბარიან ბე-დიანი.

აფხაზეთის ერისთავი თათეოზ შარვა-შიძე.

სვანთ ერისთავი—ბარამ ვარდანიძე.

**მეფე.** სად არიან: სამშვილდეს ერის-თავი — ორბელიანი, ტაშირის ერისთავი მხარგრძელი, კუხეთისა და ერეთის—ერის-თავნი, კლარჯეთისა—ერისთავი?

**ჯავახი.** მხარგრძელი სპათა ალლუმსა განაგებს. ხოლო სხვანი არ გხლებიან, ხელ-მწიფეო.

**მეფე.** მიზეზი რამ ხომ არ შემოუთვ-ლიათ?

**ჯავახი.** არავითარი, ხელმწიფეო. (სი-ჩუმე).

**მეფე.** (პაუზას შემდეგ). პატივცემულ-ნო, თქვენ, ერთგულნო სამშობლოისა ჩვენისა, ერისთავნო! დასხედით და ყური დაუგდეთ ჩემს საუბარსა. (ერისთავნი სხდებიან).

ვინაიდან ვგრძნობ კრძალვასა მით,
რომ არა ვავნო რა
საკუთრისა გულისა ხმობით, ჩვენსა
ივერსა,
თქვენ მოვიწოდეთ და გამცნობთ აწ
ჩემსა თათბირსა:
მეათხუთმეტე წელი გადის მას აქეთ, რაცა,
ვეკურთხეთ ჩვენ, ტახტსა ზედა ივერიისა.
მე ცოდვილი და ხორციელი ვიქმოდი
რასა!..
უღირსის პირით ვწირავ მადლსა ძალას
უფლისას,
რომელმაც მომცა ძლევა მოვლად ერისა
ჩვენის
ესე, ვითარცა სახელმწიფოს შეჰფერს-
შეშვენის...
და საქართველოს არ ჰქონია, სულ, ჩვენ-
სა დროსა,
შიში მტერისა; მან სახელოვნად გაშალა
დროშა
მტერთა უთვლოთა დასცა ზარი, —განსდევ-
ნა სრულად!..
დავშთით რა, ღვთის მადიდებლად და
მოხარულად,
ერი მწყალობდა და მპოვებდა ღირსად
ქებისა,
ხოლო ჩემ გულში, დარჩა ზრუნვა ნაცვ-
ლად შვებისა...
აჰა, აქამდე მოვაღწიე, დღემდი სიბერის;
დღეს კი, დრო არის მე უკუ ვდგე ჩვენის
ივერის
მართველობასა, და ვატარო აწ დარჩენილნი
დღენიცა ჩემნი ლოცვა-მარხვითა; დეე
ცოდვანი
შევინანო, ფიქრნი ანუ მოქმედებანი.
ამისთვის, დღეს სცანთ რა, თავადნო, ჩვე-
ნი ნებანი,
ხამს აღვირჩიოთ ჩვენ მემკვიდრედ ღირსი
და ბრძენი!
ვინაიდან ჩვენ, არ გვაღირსა უფალმან ძენი,
და მოგვცა მხოლოდ საყვარელი ესე
ასული,
და იტყვიან, რომ თამარ არის მცნებითა
სრული,
დღესვე ვისურვეთ აღვიაროთ მემკვიდრედ
ისა
ტახტისა ჩვენის სამეფოის ივერიისა! (მცი-
რე პაუზა)
აწ წარმოთქვით თქვენ, თქვენი აზრი და-
უფარავად,
როგორა ჰპოვებთ ჩვენსა რჩევას; კარგად
თუ ავად?!

**კახთ ერისთავი.** (ადგება)
ჰე, ხელმწიფეო! რად გვიბრძანეთ თქვენ
მოხუცება?
დასაბამიდან მზე ანათებს... თვით არ იწ-
ვება;
მაგრამ გაათბობს-რა საკმაოდ ის სამყაროსა,
სჯის უმჯობესად, და გვიგზავნის მაშინ
სხვა დროსა,
როცა მზისა წილ განათდების საუცხო
მთვარე
და ბედნიერად დამშვიდდების ყოველი
მხარე!
ეგრეცა, მეფევ, დღეს ინებეთ თქვენ და
სვენება,
ასული თქვენი, მნათი თამარ, მთვარედ
დარჩება.
(თავს დაუკრავს მდაბლად და ჯდება).

**იმერთ ერისთავი.**
ვხდი თავსა ჩემსა, ხელმწიფეო, მე კად-
ნიერად,
გაგიბედო და მოგახსენო, რომ ბედნიერად
სცხოვრობდა მუდამ ერი თქვენი თქვენს
მეფობასა
და გიქებდიან უცხოელნიც მორჭმულო-
ბასა,
გამგეობასა, მეომრობას მარად უძლეველსა!..
აწ თქვენი ქალი, ცისა შვილი, თქვენსა
სახელსა
კვალად განაგრძობს, ვით ყოფილა წინათ
ქებული,
რამეთუ თქვენის სისხლის არის თქვენი
ასული.
(ჯდება).

**ოდიშის ერისთავი.**
მეფეთ მეფეო, დიდებულო! ჩვენ გავი-
გონეთ
ნებაი თქვენი საგულისხმო და დავემონეთ;
ასულსა თქვენსა, ლაღს, სვიანსა, ვით
თვისი მამა,
მთელი ოდიში ემონების ვით ერთგული
ყმა! (ჯდება).

**აფხაზთ ერისთავი.**
ხელმწიფეო, დიდო ბატონო! შენ იცი
კარგად
მშვიდად ისარითა მომართულით, ჩვენი
ქვეყანა
ჰგმირავს შენს მტერსა; მამაცურად შეა-
კვდებიან,
ხოლო რაი სჯობს სამეფოსთვის, რას მი-
ხვდებიან!
ოღონდ ნებასა, სიტყვას შენსა ემონებიან!
(ჯდება).

**სვანთ ერისთავი.**
ბატონო ჩვენო, დიდებულო მეფეთა მეფევ!
შემინდევ მთიულს, სიტყვა უცხო თუ ვერ
მოვკრიბე!
მაგრამ რად გინდა შენ მონისა რამ საუბარი,
შენ გინა მისი წრფელი გული, მკლავი
მაგარი,
გემსახურებით ამ ორითა, თუ არ ვართ
კვდარნი!..
(ჯდება).

**მეფე.** (თამარს) ისმინე შვილო, რა ყო-
ველი აქა თხრობილი,
აწ შენა გმართებს საქმე დიდი, მცნებით
მკობელი!
იმედით ღვთისა, მრწამს განაგებ კარგად
ყოველსა;
მხოლოდ ლა ერთსა მოგითხრობ მე, შენ
საცნობელსა:
არ მოგერიოს სისუსტემან, დედათ წესია,
არა სხეულის,—სულის სილბო უარესია!
ქვეყნის პატრონსა არ სჭირია ხმალი და
ფარი,
მხოლოდ მას უნდა არ მორჩილი—სული
მედგარი;
ამის მიზეზით იშვიათობს ქალი სვიანი
და თუ გამოჩნდა, ვარსკვლავია ულუმპიანი,
იფიქრე, შვილო, აწ სვე შენი ძ მომავალი.
(ყველა დაბალ სალამს აძლევს თამარს).
გამრეკელო! მოსულ არიან დღეს მო-
წვეულნი ნადიმობასა?

**გამრეკელი.** დიახ, მეფეო!

**მეფე.** მაშ წავიდეთ: ალლუმსა თვალი
გადავავლოთ
თუ რომ გვაკლია რამ საუბარი, პურობა-
ზედა
ვიტყვით ყველასა. (გამრეკელს) უთხარი
მხედარ-ტაიჭნი?

*) ამ პიესის წარმოდგენა ავტორის ნებადაურ-თველად აკრძალულია.

პიესა ნებადართულია ქართულ სცენაზე წარ-მოსადგენად ცენზურისაგან 1909 წ. 20 ნოემ-ბერს. № 24595.

მერიამ წინადადება მოგვცა რამდენიმე პირს, რომ ჯარში გაწვეულთა ოჯახები აგვეწერა და მათი სიები შეგვედგინა: ვინ დარჩა უპატრონოთ, აქვთ კიდევ მათ რაიმე სახსარი ცხოვრებისა, თუ არა... საჭირო იყო მთელი რაიონის აწერა და, მაშასადამე, სხვადასხვა სოფლების მოვლა-აწერა, ამისთვის მოგვცეს ველო!იპედი და დაგვავალეს, რომ სასოფლო თვითმართველობის დაწესებულებებისათვის მიგვემართა ცნობების შესაკრებათ.

**დ—ელი.**

(დასასრული ხვალ).

---

# გ ა კ ვ რ ი თ.

ცხოვრებისაგან ყინულზე გაცურებული ჩვენებური „დასელები„ კვლავ „ბრძოლის“ გუნებაზე დამდგარან და თავისებურის გულ-ღრძოობით „თანამედროვე აზრის“ ფურცლებზე (№ 24) თავისებურსავე აბდა-უბდას მოჰყოლიან.

მე არსებითად არ შევეხები ამ წერილს. ვისაც თავი თავის ადგილისა აქვს და გული-გულის ადგილას, ის უკვე კარგათა ხედავს, რომ ჩვენებურმა „დასელებმა“ დიდიხანია თავი აიწყვიტეს და ღობე ყორეს ლა ედებიან.

ვინც კარგი იყო მათ შორის, დიდიხანია ჩამოშორდა მათ, ხოლო „ქ-კი“-ებთან კამათს ქვის კოდვა სჯობიან.

დაე, სწერონ და ჰპეჭდონ ის, რაც მათ შეეფერებათ. ჩვენ კი არავითარი სურვილი არა გვაქვს ვზილოთ ტალახი და ვშხეპოთ წუმპე მათი. ამოვა მზე და ჩვენის დუხჭირ და შავბედით ცხოვრებიდან ამოაშრობს ყოველ გვარ უგნურებას.

მინამდე კი არ შემიძლია ერთხელ კიდევ ხმა მაღლა არ განვაცხადო: **გელეიშვილის ლექციას არც დავსწრებივარ და არც არავინ წამიქეზებია:** ბოლოკები ესრო-ეთ-მეთქი. გარდა უკმეხ დასელებისა და მათი დამქაშებისა, მე მყავს ათასობით მეთვალყურე, ორიათასამდე მსმენელი—მოწაფე და აბა ერთმა მათგანმა სინიდისის ქვეშ სთქვას, რომ როდისმე ერთი მეორის წინააღმდეგ ვინმე წამექეზებინოს..

მაშ, რათ სცრუობთ, ბატონნო მართლმორწმუნე დასელებო, რათ ატყუებთ თქვენ მიმდევრებს და რათ ჩასძახით, ვითომც მე **წამექეზებინოს მოწაფეები?**

მე **დასელი** არ გახლავართ, რომ პატარა ბავშებს გავაკეთებინო ის, რის გაკეთებაც მე თვითონ მანდა! წაქეზება და მისისიანება თქვენკენ მოიკითხეთ....

გელეიშვილის გამოსვლა მე შევგინებათ მიმაჩნდა ჩვენის წმინდათა წმინდისა და მის ამ ლექციაზე არასოდეს არ დავესწრებოდი და არც დავსწრებივარ.

ეს მარშანაც მოვახსენეთ და დაგიმტკიცეთ კიდეც.

მაგრამ, როგორც ეტყობა, თქვენთვის სიმართლე კი არ არსებობს, არამედ სიყალბე და თვალთმაქცობა. ოღონც კი თქვენი გაიტანოთ, დაამციროთ თქვენი იდეური მოწინააღმდეგე და ერთხელ კიდევ ააყაყანოთ თქვენიანები.

იარეთ მაგ სიყალბის გზაზე, იქნება კისერი მოიტეხოთ სადმე, ბ-ნო ქ—კებო!....

**ია ეკალაძე.**

---

## ახალი საშუალება სანოვაგის გასამჭირებლათ.

ყველას მოეხსენება ვაჭრების თავგასულობა. სანოვაგეს ფასს ყოველ დღე უმატებენ. ვინმემ რომ მეტოქეობა არ გაუწიოს, ახალი საშუალება გამოუნახავთ.

აი ეს საშუალებაც: აგრეწოდებული სანოვაგის მომწყობი კომისია განაგებს ვაჭრებთა შორის ვაგონების გაწესრიგებას. ამ კომისიაში თვით დაინტერესებული ვაჭრები არიან და ვაგონებს იმათ არ აძლევენ, ვინც მათ ვაჭრობაში მეტოქეობას უწევს.

ამგვარ ფაკტს ადგილი ჰქონდა ქალაქის თვითმართველობაში შემდგარ კომისიის კრებაზე, 31 მარტს, რასაც თვით ქალაქის მოურავი დაესწრო. ამ დღეს მე ვაგონი არ მომცეს, რომ პირდაპირ ადგილიდან მომეტანა შაქარი და საზოგადოებისათვის შეღავათიან ფასებში მომეწოდებია.

ვაგონის მოუცემლობა იმით ახსნეს, რომ, ვითომც, მე ფული არ მქონდეს და შაქარს ვერ მოვიტანდე. ქალაქის თავმა ფაკტები მოიყვანა, რომ მე ამ ომიანობის დროს ყველაზე მეტი შაქარი მოვიტანე, მაგრამ იგი მაინც ვერას გახდა. ამრიგათ ამ ვაჟბატონებმა საშუალება მომისპეს მომეტანა შაქარი პირდაპირ ადგილიდან.

ახლა ვეკითხები ამ ვაჟბატონებს, მე ვიყავი თუ სხვა, რამ თვით ამ ბობოლა ვაჭრებს ასი და ორასი ფუთობით შაქარი მივეცი.

ამასთანავე ვაცნობებ ქუთაისის საზოგადოებას, რომ მე შემიძლია ვაგონებით შაქრის მოტანა, რასაც იმით ვასაბუთებ, რომ ამას წინათ სამი ვაგონი შაქარი ერთად მქონდა კომერციულ ბანკისა და ვოლგა-კამის ბანკის საშუალებით მოტანილი და მეორე მით, რომ 28 მარტს, ერთად გავგზავნე ქარხნებში ერთში 7,000 მანეთი და მეორეში ბეთ 500 მანეთი რასაც, იმედია, დაადასტურებს კომერციული ბანკის გამგე.

დასასრულ ვაძლევ რა ქალაქის მამებს ამ ცნობას, იმედია, ყურადღებას მიაქცევენ და მიიღებენ ზომებს კომისიის ასეთი მოქმედების საწინააღმდეგოთ.

**დ. ქებაძე.**

---

## მევენახეთა საყურადღებოთ.

ჩვენს მევენახეობას გასაჭირი თავს ატყდება; აკლია მუშა ხელი და ნამეტანი ძვირათ იყიდება შაბიამანი და გოგირდი. ყველას მოეხსენება, თუ რა მიზეზით გვაკლია მუშა ხელი: საუკეთესო ჯანით სავსე ახალგაზდები ომში არიან და სახლში დარჩენ მოხუცებულები და ქალები.

ვენახებში ქალებს ბევრ ნაირი მუშაობა შეუძლიათ და დიახ არ უნდა ითაკილონ და თავს იდვან ვენახების დამუშავება. იმაზე მეტია ლაპარაკი, რომ მუშაობა არც მდიდრისთვის და არც ღარიბისთვის სათაკილო არ არის. ამისათვის ყველანი უნდა ერთმანეთს დავეხმაროთ. ჩვენში რომ ნადიანობა იცოდენ, აი, დღეს არის სწორეთ ეს საჭირო. მხოლოდ წინათ ნადიანობა სალამოობით ღვინის ზედმეტი სმით თავდებოდა. დღეს-დღეობით კი სახალისო არაფერი გვაქვს. ცხოვრება საშინელ განსაცდელში ჩავარდა და დიდი სიფრთხილე, მეცადინეობა და შორსმჭვრეტლობა გვმართებს. მევენახეობა ჩვენში ნაციონალური საქმეა; მე ვერ წარმომიდგენია საქართველო უვენახეოთ. მოგეხსენებათ, დღეს-დღეობით საფრანგეთი ჩვენს დღეშია და იქ მუშა ხელი კიდევ უფრო ცოტა დაურჩათ. ვენახების შესახებ იქ მინისტრ-პრეზიდენტმა ქალებს ასე მიმართა: დაიფარეთ ნაციონალური საქმეო. მაგრამ იქ მუშაობის საჭიროების შესახებ ბევრი ლაპარაკი და მოგონება საჭირო როდია. ჩვენში რომ იციან თქმა: თუ რამე გაქვს, დაბძანდი და ხელის ბანის მეტს ნურას გააკეთებო — ამისთანა აზრს თავის დღეში ვერ გაიგონებთ. ჩვენ ხშირად შეგვხვედრია კარგა მდიდარი ოჯახის ქალები რომ ახვევდენ ვენახებს და გოგირდს აფრქვევდენ. ეს იყო როცა მათ არავითარი განსაცდელი არ ადგათ. წარმოდგენილი მაქვს, როგორ იმეცადინებენ ახლა. მაშ, ნურავინ ითაკილებს მუშაობას.

ვაჭრებმა ფუთი შაბიამანის ფასი 14 მანეთამდის და გოგირდის 6 მანეთამდის ასწიეს ჯერ-ჯერობით. თან ყიდიან მოსულ პირებზე და გზავნიან დერბენტისა და ბესარაბიისაკენ. როდესაც ფულის მადაზეა ლაპარაკი, და ეს ვაჭრებს შეეხება, იქ არაფერი აღარ გადის, იმის გარდა, რომ, რაც შეიძლება, მეტი მოიგოს. ამ შემთხვევაში არაფერ მოსაზრებას ადგილი აღარ ჰქონია. ამ ვაჟბატონებმა უბედურებაში ჩაცვენილ ვენახებისა და ბაღების მეპატრონეებს უშოვეს დრო და უწყალოთ ჰკრეჭენ, აღარ დაზოგეს. მართალია, საზღვარ-გარეთიდან აღარ შემოდის შაბიამანი და გოგირდი, მაგრამ შარშარშანდელი მოტანილი მასალა ვაჭრების გაუმაძღრობამ გააძვირა. შარშან იგივე შაბიამანი იყიდებოდა 4 მანეთად და გოგირდი 1 მ. და 3 აბაზათ. ფასის აწევა შეიძლება, მაგრამ ასე უზომოთ, ბ. მოვაჭრეებო? ამას გარდა რა სინიდისით აგზავნით შაბიამანს შორს, როცა ჩვენი ვენახები რჩება უწამლოთ?

როგორც ვიცით, თქვენ შაბიამანი გაქვთ შეძენილი ნებართვით ქუთ. გუბ. ვენახებისა და ბაღების საჭიროებისათვის და ზნეობრივათ მოვალენი ხართ ამ საჭიროებას მოახმაროთ. ომია. სოლიდარობა და ურთი-ერთ შორის დახმარებაა საჭირო. ნუ სარგებლობთ გარემოებით!!

**გ. ბერეკაშვილი.**

---

# ახალი ამბავი.

ხვალინდელ ჩვენის გაზეთის დამატებაში მოთავსებული იქნება დიდი სურათი „მთვარიანი ღამე ეგვიპტეში“ და დოროშევიჩის მოთხრობის გაგრძელება.

✦ ქ-ნ ხოჯევანიშვილის ქალთა პროგიმნაზიაში მთავრობის დეპუტატათ გამოცდებზე დასასწრებლათ დაინიშნა პეტრე ალექსანდრეს ძე ეგოროვი, ბათომის გიმნაზიის ინსპექტორი.

✦ ქუთაისის საგლეხო საკრებულოს მოხელე ბატონი ბიბიკოვი დაინიშნა ქ. ელიზავეტპოლის ვიცე გუბერნატორათ.

✦ ქუთაისის სისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების აგენტათ დ. ხონში დაინიშნა გიგლა მებუკე.

✦ ქუთაისის გუბერნიის დამშეულთა დამხმარე საგუბერნიო კომიტეტმა ქუთაისის გუბერნატორს გაუგზავნა თავისი ქმედების ყოველგვარი [illegible] და კომიტეტის ინსტრუქცია [illegible] რებლათ.

აგრეთვე კომიტეტმა გუბერნატორს სთხოვა იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, ფულის საშოვნელათ, რომ დამშეულ გლეხებს ყანები დაუთესავი არ დარჩესთ.

✦ კომიტეტს ბაღდადის მხარედან დამშეულ გლეხებისაგან უკვე თხოვნები მოდის, რათა მათ დახმარება აღმოუჩინონ.

✦ ამ დღეებში ქალაქის საავათმყოფოში მესხეთის ქუჩის მცხოვრებმა კეპულაძის ქალმა შობა ერთად სამი ბავში: ერთი ვაჟი, ორი ქალი.

ორი ბავში უკვე გადაიცვალა. დედა და ერთი ბავში კი ახლა თავს კარგათ გრძნობენ.

✦ წმ. ნინოს სასწავლებლის მოწაფე ქალმა ც—ძემ თავის მოკვლის მიზნით კარბოლის სიმჟავე დალია. ექიმების დახმარებით, იგი გამოაბრუნეს. მიზეზი იმავე კლასში დარჩენაა.

✦ როგორც სოფ. ჯვარისიდან (ოკრიბა) გვწერენ, იქ სახადი სენით ავათმყოფობა შემცირებულა. სამრევლო სკოლაში მეცადინეობა კვლავ დაიწყო. კარგი ამინდების გამო, გლეხები, ხვნათესვას შეუდგნენ.

ქ. ბათომში ამ დღეებში შავი სახადით გადაიცვალა ექიმი სერაფიონ გრ. ოგლობლინი, რომელიც მოთავსებული იყო ქალაქის საავათმყოფოში.

✦ ქართული გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფეებს წერითი გამოცდები გუშინ დაუსრულდათ.

✦ კვირას, 29 მარტს, დ ხონში შესდგა საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა წლიური კრება. წარსული წლისა და მდგომარე წლის სავარაუდო ანგარიშები დაამტკიცეს. მოსამსახურეების ჯამაგირის თხოვნაზე კრებამ უარი განაცხადა.

✦ გუშინ, ქუთაისის ბაზარზე ნამყენი ვაზი 100 ცალი ორ მანეთად ფასობდა. ფქვილი სოფლებიდან თითქმის სულ არ შემოუტანიათ. ყველი ჩარექი სამ აბაზათ ფასობდა, კვერცხი ექვსი ცალი ერთ აბაზათ.

✦ არქილის გორაზე არსებულ აკაკის სახელობის სამკითხველოს გამგეობას

---

**გამრეკელი.** მზად გახლავთ, ხელმწიფეო!

**მეფე.** აბა, წავიდეთ. (დგება. ყველანი ადგებიან).

**ჯავახი.** (ახლოს მეფესთან, რომ სხვებმა ვერ გაიგონონ) ხელმწიფეო! ერთი მოსული ვინმე მხედარია, ჩაბალახ მობურვილი, სახესა თვისსა და სახელსა ფარავს, ამბობს კი ორბელთა დარბაზიდან მოვდივარო და კადნიერობს პირისპირ მეფის ნახვას, გამოსაცხადებლად მძიმეთა რამ საიდუმლო ამბავთა...

**მეფე.** დაე მოვიდეს! (ჯავახი გადის. გამრეკელს). გაუძეხ სტუმრებს. (გამრეკელი წინ გაივლის, იმას მიყვებიან დედოფალნი და ბანოვანნი, მერე ერისთავნი, ჯარისკაცნი და სხ. გადიან. ჯავახიანს შემოყავს უცნობი). აბა რას გვეტყვი, ყმაწვილო?

**მხედარი.** დიდებულო მეფეო! ვიშიშვი მე თქვენთან პირადათ მოხსენებას, მაგრამ უმთავრესმა რამ საჭიროებამ, გამაბედვინა ხლება.

**მეფე.** რა ამბავია?

**მხედარი.** ხელმწიფეო! დარბაზში მოხდა წუხელის შეთქმულობა წინააღმდეგ თქვენის დიდებულებისა.

**მეფე.** რასა ბოდავ, ყმაწვილო? შეთქმულება ჩემზედა?

**მხედარი.** დიახ, მეფეო!.. ეგრე დაუმონებია მაცდურსა მათი გონება.

**მეფე.** ვინ ბედავს მაგას!.. ვის მოსძულებია თავი?

**მხედარი.** ამირ-სპასალარი, ბატონი ორბელიანი, თავადი ჯაყელი, უფლისწული დემნა და სხვანი კერძონი მათნი და აზნაურნი.

**მეფე.** რაო? რას იტყოდენ?

**მხედარი.** მოგახსენებდენ, რომ ტახტი სახელმწიფოსი ეკუთვნის უფლისწულს დიმიტრის და ძალადობამ თქვენმან მოსტაცა მას იგი; ბევრის სჯისა შემდეგ, შესთქვეს ფიცით ჯვარზედა, რომ აღადგინონ უფლება აწ სრულწლოვან უფლისწულის დიმიტრის. უნდა მოასხან თორელნი, ჯარს მოელიან კუხეთიდან და უნდა ააჯანყონ ჩვენი საერისთავო.

**მეფე.** (ცოტა გაჯავრებით) თქვენი საერისთავო? და შენ ვინა ხარ? როგორ ბედავ შენ აქ ლაპარაკს სახე დაფარულად? ახადეთ ჩაბალახი (მივარდება ჯავახიანი).

**ჯავახი.** (ჩუმად მხედარს.) ნუ რარაის გეშინია, მე აქა ვარ! (ჩაბალახს ახდის).

**მეფე.** (ჯავახს) ვერ იცნობ, ვინ არის?

**ჯავახი.** ვერა, ხელმწიფეო. (მხედარს ხმამაღლა) არ გესმის, ყმაწვილო! ხელმწიფე გიბრძანებს: მოახსენე ვინცა ხარ, რისა გეშინიან? ერთგულებას ამტკიცებ, ორგულ ხომ არა ხარ?

**მხედარი.** მე გახლავართ ხელმწიფეო, აზნაური ბატონის ორბელიანისა, ჯვარად ყაითაძე.

**მეფე.** მერე რამ გაიძულა, რომ უღალატე შენსა ბატონსა?

**მხედარი.** იმან ხელმწიფეო, რომ ჩემი ბატონი აპირებს უღალატოს ქვეყნის ბატონსა!

**ჯავახი.** (თავისთვის) ვაშა! არა ხუმრობს!

**მეფე.** (აღელვებული გაივლ-გამოივლის ჯავახიანს) სარქის მხარგრძელი და მსახურთ უხუცესი დაიბარე (ჯავახი გადის.) უსაფუძვლო რამ სიანჩხლე არ მომივიდეს. ვინიცის, ეგ ყმაწვილი მართალს ამბობს, თუ არა...

**ჯავახი.** (შემობრუნდება.) გავგზავნე ოფიკალი, ეხლავ გეახლებათ; ხელმწიფეო, ძნელი მოსახსენებელია ისეთი კაცის ღალატი, რომელსაც თქვენი წყალობა უხვად აჯილდოებდა, მაგრამ ხმა გახლავთ ეგრეთი სამწუხარო, ვითომც ორგულობასა თქვენსა ჩადიოდენ! ერეთისა და კლარჯეთის ერისთავნი, რომელნიც დღეს აქ არ გახლდენ, ისინიც დარბაზში ყოფილან მოწვეულნი და სხვებიც კიდევ! ამის მოხსენება ადრეც მინდოდა, მაგრამ ვერ გავბედე, რადგან ბეჯითი არა ვიცოდი რა!

**მეფე.** (მხედარს) მართალია, ყმაწვილო, რომ ერეთისა და კლარჯეთის ერისთავნიც იქ ყოფილან?

**მხედარი.** იქ გახლდათ მეუფეო!

**მეფე.** აჰა, გაცემა, ორგულობა, ეგ სენნი ძველნი,
ეს შინაურნი გველ-მატლები ქართველთ მჭამელნი!..
ვით ვერა გრძნობენ სულელ-შმაგნი, ბოროტი სულნი,
რათ დაივიწყეს აგრე მალე დრონი წასულნი,
რომ ჩვენს სამეფოს: შემოვა რა განხეთქილება,
მას დაიმონებს და შემუსრავს სხვისი კირთება!
რომ სამშობლოის მუდამ იყო დამამხობელი
დას-დასობითა ბატონები, როგორც ორბელი!
ვფიქრობდი, კაცსა მოიმხრობდა მეფის წყალობა
ბ მივეც ჩემის ლაშქრის ამირ-სპასალარობა;
ამით მივენდევ, ჩემი გული აღარა სწუხდა
და მისაში კი, თურმე შავი ღალატი სდუღდა!..
(მცირე ფიქრის შემდეგ გაბრაზებული).
დემნა!.. ჰმ! რას გავს ის საწყალი, სუსტი, სნეული,
სალოსი მეფედ, სად ნახულა ამაღლებული?

(შემოდიან მხარგრძელი და გამრეკელი მეფე მხარგრძელს) უფლებითა ჩვენითა, თქვენ ერგულსა ჩვენსა, ტაშირის და სომხეთის ერისთავსა, თ-დ სარქის მხარგრძელსა, ვნიშნავთ დღეს ამირ-სპასალარად მთელითა ჩვენთა ივერთა სპასთასა! (ჯავახიანს) სიგელი დააწერინეთ და ჩააბარეთ. (მხარგრძელი მეფეს მკლავზე კოცნის) ვინაიდან ამირ-სპასალარმან ჩვენმა შეთქმულობა განიზრახა და ორგულობს სამშობლო ქვეყანას, აწ თქვენ გიბოძეთ ეს თანამდებობა და ვიმედობ, მხარგრძელო, ისე მოიხმარ, როგორც ეკადრება პატიოსნებას და ქვეყნის ერთგულსა!

**სარქის.** ხელმწიფეო! სიტყვანი ქრებიან, ხოლო საქმენი შთებიან. მომავალი დაამტკიცებს ერთგულებასა ჩემსა. (თავს უკრავს).

**მეფე.** ეგრეცა მაქვს შენი იმედი!.. კარგი, დრო მიდის და ნუ ვაგვიანებთ! მოახდინე დაუყონებლივ შემდეგი განკარგულება: გაგზავნე ჯარი და გაამაგრე ვაშლოვანი, აგარნი და შულავერი; დააყენე დარაჯნი მტკვრის ფონზე, იაღლუჯის პირდაპირ, რომ ვერავინ გავიდეს ერეთსა და კუხეთისაკენ. კლდეკარს, მოიდანახეს და მუზის ციხეს გაგზავნე ძლიერი როქის-სპანი, თორელნი და თმოგველნი ვერ შემოიჭრან სამშვილდეს საერისთაოს. როქის-სპის ნაწილმა დაიცვას გზები ირგვლივ ორბელიანთ დარბაზისა და შეჰკრან ყოველი მიმოსვლა; ვინც-კი ჩაუვარდებათ ხელში, უკეთუ არ ექნეს მას ჩვენი ბეჭედ-დასმული წერილი, დაჭერილი გამოგზავნონ აქ, სასახლეს. ხომ გაიგონე ყოველივე?

**სარქის.** მესმის, ხელმწიფეო! ყოველივე თქვენი ბრძანებისამებრ იქნება ასრულებული.

**მეფე.** (გამრეკელს) გაჰყევი და რაც საჭიროა ლაშქრისათვის, მოამზადეთ. იდუმალ იმოქმედეთ, ხმაურობა ნუ იქნება და სწრაფად. (თავს უკრავენ და გადიან. შემდეგ მხედარს) ყმაწვილო! შენ ჩემი ერთგულებისათვის წყალობა გებოძება; მაგრამ შენი უმახლობელესი ბატონის გაცემის მიზეზით, დიდათ ვერ გენდობი, და აქ დარჩი სასახლეში (ჯავახიანს) შინაურებს ჩააბარე არსად წავიდეს. (მეფე გადის. ჯავახიანი გააცილებს და ისევ შემობრუნდება).

**ჯავახი.** (მხედარს) აბა ყმაწვილო, სხვა კიდევ რა სთქვეს დარბაზში?

**მხედარი.** სთქვეს რომ ზეგისთვის დაბარებული ვართ სრასა და უნდა წავიდეთო! მე კი დღეს დილითვე გამოვეშურე, როგორც თქვენი ბრძანება მქონდა.

**ჯავახი.** (თავისთვის) ჯერ კარგად არის საქმე. (მხედარს) ძალიან კარგი... წადი შენ ახლა მოისვენე, არ დავივიწყებ შენს სამსახურს.

**მხედარი.** წყალობა თქვენი ნუ მომაკლოს ღმერთმა. (გადის).

**ჯავახი.** (მარტო). აბა ახლა ჩვენ საქმე ჩვენი გამოვაკვლიოთ დაუხედავად თავზე ჰირი არ დავიხვიოთ! (დაფიქრდება).
პირველ საშიში იყო დემნა, მაგრამ ბედკრულსა
აქ მოიყვანენ ხვალვე ხომ მას, ხელფეხ შეკრულსა!
დამრჩა სოსლანი... მაგრამ ისიც ვერ გაიხარებს,
მე კი შესმენით ეჭვს ჩაუგდებ თამარზე გულში,
რომ დედაკაცის ასაკია მეფის ასულში,
რომ მთავრის ძესა, ყმაწვილს შალვას თამარი სწყალობს
და ისიც მაზედ, ვით ბულბული ვარდზედა გალობს;
და ესრე მზესა მცირე ნისლი ზედ დავაყარო,
ამითაც კიდევ ერთი ღონე მე მოვიგვარო! (ფიქრობს)
სჯობს რომ შალვასაც გადავკიდო რამ ფათერაკი,
თორემ, ვინ იცის, მომავალში რას იქმს ეშმაკი! (ფიქრის შემდეგ)!
განა არ იყო ბაგრატ დიდი მეფე სვიანი!
და მის ძმისწულსა ჰყვა მეუღლედ ჯავახიანი!
ქვეშევრდომთაგანს, სხვა გვარს ჯერ ეგ არ ღირსებია!
შეუდგეთ მაშა, და გავლობოთ სხვა, რაც გზებია
და ბოლოს, ოდეს ერთი და გზა მხოლოდ დარჩება,
უნებლიეთად ყველა იმა გზას დაადგება.
(შემოდიან რუსუდანი და თამარი. ჯავახიანი თავს უკრავს).

**უგ. თ. გ. შავრაშიძე.**

(შემდეგი იქნება).

სავაჭრო სახლი
ძმ. კუზანოვების
ქუთაისში.

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ცნობილი აბრეშუმის თესლის ფირმის „ეკონომიდის", ამით აუწყებს მეაბრეშუმეებს, რომ თესლი უკვე მივიღეთ და ვყიდით ხელსაყრელ ფასებში, პარტიებით და წვრილათ.

თესლი შემოწმებულია ტფილისის სააბრეშუმო სადგურის მიერ. მიაქციეთ ყურადღება კოლოფზე თეთრ ბანდეროლს.

სამრეწველო სავაჭრო სააგენტო და ... სქ... ტ. ლ. ბასილაძე და ა. მ. კილასონია
ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზრათ აქვს სამკითხველოსათვის საკუთარი შენობა ააგოს. გამგეობა ადგილის საშოვნელათ შესაფერ თადარიგს უკვე შეუდგა.

✦ „წითელი კვერცხის" გაყიდვით კნ. ჩიქოვანისამ ქუთაისში შეკრიბა 93 მ. და 97 კაპ. ქ-ნ კორძაიასამ 31 მ. და 4 კაპ. გრიგოლ კლდიაშვილმა 24 მ. და 22 კაპ. ქ-ნ კაჩუნოვამ 41 მ. და 45 კ. ქ. ხაზაროვისამ 33 მ. და 22 კაპ. ქ. ცაგარელმა 23 მ. და 61 კ. ქ. იოსელიანმა 14 მ. და 46 კ. ქ. ფედოროვმა 23 მ. და 76 კ. ნუცუბიძემ და კორძაიამ 27 მ. და 41 კ. ქ. ალშიბაიასამ 51 მ. და 33 კ. ქ. კოსტავამ 42 მ. და 19 კაპ. ქ. ლიკინოვმა 42 მ. და 19 კ. და ქ. ბასოვმა 16 მ. და 53 კ. სულ 478 მ. და 61 კ.

✦ ომში გაწვეულთა ოჯახების დახმარე თავად-აზნაურობის კომიტეტთან არსებულ ქალთა წრეს თავ. მექი ფაღავამ შესწირა 3 მანეთი, დ. ხელთუფლიშვილმა 3 მ. თითო მანეთი ზაქარია კ. მაჭავარიანმა და ილია კ. მაჭავარიანმა სულ 8 მანეთი.

✦ ქალაქის საბჭოს ყოფილმა მდივანმა ნიკიფორე კანდელაკმა ქალაქის საბჭოში თხოვნა შეიტანა, რომ მას, 21 წლის სამსახურის გამო, მიეცეს 2,400 მანეთი ერთდროულ დახმარებათ და ან შესაფერი პენსია.

✦ 2 აპრილს, ქალაქის თეატრში მსახიობ მიხ. გელოვანის რუსულ წარმოდგენას ცოტა ხალხი დაესწრო.

✦ ქუთაისის რკინის გზის სადგურის მოსამსახურეებმა დაადგინეს ჩაეწერონ მომხმარებელ საზოგადოების წევრებათ და გახსნან სადგურთან განყოფილება.

✦ როგორც სოფ. სვირიდან გვწერენ, იქ ავათმყოფობა ძლიერ გავრცელებულია. უექიმოდ სოფელი დიდ გაჭირვებას განიცდის. საჭიროა ჯეროვანი ყურადღების მიქცევა, ვისგანაც ჯერ-არს.

✦ ამ დღეებში ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში გაირჩევა საქმე წალენჯიხის (ზუგდიდის მაზრა) სამომრიგებლო სამართველოს გაძარცვის შესახებ. ამის თაობაზე პასუხისგებაში მიცემული არის ექვსი კაცი.

## თეატრი.

დღეს, ქალაქის თეატრში, შესდგება გასტროლი, ჩვენი დამსახურებული და ნიჭიერი მსახიობი ქალის ნინო ჩხეიძის ასულის. წარმოდგენილი იქნება ცნობილი ტრაგედია ებრაელთა ცხოვრებიდან „ივდით". პიესა ჯიოკიმედისა, თარგ. ივ. მაჭავარიანის მიერ. ივდითის როლი ერთი უძლიერესი და უკეთესი როლთაგანია ქ ნ ნ. ჩხეიძის რეპერტუარში, პიესაში მონაწილეობას იღებს მთელი დასი. ადგილების ფასები ჩვეულებრივია.

— —

ქარ. მსახიობთა ამხანაგობამ პირველი ბენეფისი მისცა დასის რწმუნებულს და ადმინისტრატორს გასო ურუშაძეს, რომელიც შესდგება ხუთშაბათს, 16 აპრილს.

## წერილი ხარაგაულიდან.

ხარაგაულის რაიონს ეკუთვნიან ხარაგაულისა, კაცხისა, ლელვნისა, ბეჟათუბნისა და ამაშუკეთის სასოფლო საზოგადოებები. ამ რაიონის მცხოვრებნი, განსაკუთრებით ომის გამოცხადების შემდეგ, დიდ განსაცდელში ჩავარდენ უექიმობით. ომის გამოცხადებამდი ამ რაიონში მოღვაწეობდა, ხალხის სულითა დ გულით მოყვარული ექიმი ვარლამ დავითის ძე საყვარელიძე. ომის გამოცხადების შემდეგ ეს უანგარო მოღვაწე ადამიანი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს და ხსენებული რაიონის ხალხი ღვთის ანაბარათ დარჩა. ბ. საყვარელიძეს გარდა ამ რაიონში კიდევ მოღვაწეობდა მეორე ექიმი ბ. ნემსაძე, მაგრამ ისიც ომში წაიყვანეს. მთელს ამ დიდს რაიონში ამჟამად ერთი ფერშლის მეტი არ მოიძებნება. თუმცა ბ. საყვარელიძეს ბინა დ. ზესტაფონში ჰქონდა, მაგრამ მას ისე უყვარდა საწყალი სოფლის ხალხი, რომ მისი სასყიდლის მიცემა სიშორეზე არ იყო დამოკიდებული და ხშირათ ხარაგაულში მცხოვრებ ექიმზე უფრო ნაკლებ სასყიდელს ჯერდებოდა ავათმყოფის პატრონს. ბ.ბ. საყვარელიძისა და ნემსაძის სამხედრო სამსახურში გაწვევამ, როგორც ზევით ვსთქვი, ისეთ განსაცდელში ჩააგდო აქაური მცხოვრებნი, რომ გაჭირვების დროს მძიმე ავათმყოფი ან ქუთაისში უნდა წაიყვანონ და ან ტფილისში. მართალია, დ. ზესტაფონში კიდევ არის ერთად-ერთი ექიმი—თავისუფალი მოსიარულე—ბ. ი. გ., მაგრამ იგი ჩვენი რაიონის მთიანსა და აღმართ-დაღმართიანი გზებით მოფენილ სოფლებში ჯერ სულ არ ნებულობს წამოსვლას და თუ, ვინიცობაა, ინება ძრიელ დიდ სასყიდელს თხოულობს. ორ-სამ თუმან ნაკლებ არ წავა მაგალითად ამაშუკეთისა და ბეჟათუბნის საზოგადოების სოფლებში. აბა ამოდენა ფული სად უნდა იშოვოს საწყალმა სოფლის გლეხმა და ისიც ავათმყოფის პატრონმა. ეს ვაჟბატონი არც მანეთ ნაკლებ შინჯავს თავის ბინაზე მიყვანილ ავათმყოფს გინდ მდიდარი იყოს გინდ ღარიბი, ექიმების რიცხვის შემცირებამ, რაც უფრო ომიანობის წყალობით მოხდა, ზოგიერთ მკურნალს გამდიდრების მადა გაუღვიძა.

სწორეთ ასეთი უნდა ხალხის შველა-დახმარებაც! კარგი იქნება, რომ ვინმე თავისუფალი ექიმი ხარაგაულის რაიონს ესტუმრებოდეს. საზრდოც ექნება და მადლსაც იზამს.

**მ. ფარცხნალელი.**

## პროვინციებში გაზეთების აგენტების თავგასულობა.

(წერილი რედაქციის მიმართ).

პროვინციებში გაზეთების გავრცელების საქმესთან ახლო მდგომი ბ. ვასო ჭელიძე „სამშობლო"-ს № 33-ში მოთავსებულ წერილით მიწვევს დავამოწმო ყვირილის მეგაზეთის გრ. კაჭარავას საქციელი გაზეთების გავრცელების საქმეში.

ჩემის მხრით ვამოწმებ, რომ მეგაზეთე გრიგოლ კაჭარავამ სხვათა შორის ჩემ კანტორა „იმერეთ"-საც წაგლიჯა 22 მ. ჟურნალ-გაზეთების ფული და ესეც იმ დროს, როცა მე ჩემი საქმის წარმოებას იძულებით მოშორებული ვიყავი და გამტაცებელმაც ჩემი ხასიათით და მდგომარეობით ისარგებლა. მას სამჯერ მივწერე გაფრთხილების წერილი ამ ფულის გადახდის შესახებ და ნაცნობების პირითაც ვაფრთხილებდი, მაგრამ არცერთზე მან კრინტიც არ დაძრა. პირიქით ქუთაისში ჩამოდიოდა, ნამალევათ გაზეთებს ყიდულობდა, მიქონდა ყვირილაში და ყიდიდა.

ამ საქმეში მისი ხელის შემწყობია აგრეთვე ის ნებართვაც, რომელიც მას რაღაცნაირის მოხერხებით აულია რკინის გზის ჟანდარმისაგან მატარებლებსა და სადგურებზე გაზეთების საყიდლათ და ამით ასე მოხერხებულათ სარგებლობს. აი ამგვარ მტაცებელ მეგაზეთეს აბარია დღეს პერიოდულ გამოცემების გავრცელების საქმე დ. ყვირილის რაიონში და მისი გულდამშვიდებული შემცქერნი არიან აქაურნი მკვიდრნი და გამვლელ-გამომვლელნი...

მაგრამ ამაზე უარესი არც ქუთაისს აკლია. აქ კი მტაცებელ, მგლეჯელი მეგაზეთეები კიდე უფრო აშკარათ და თავაშვებულათ თარეშობენ ზედ ბულვარზე, მთელი საზოგადოების თვალწინ. ამგვარებში განსაკუთრებით თავი იჩინა ამ ბოლო დროს მეგაზეთეებმა კირილე კუპუხიძემ და მიხა ჭეიშვილმა, რომლებმაც ჩემი კანტორა „იმერეთი"-დან ამ ბოლო დროს გაიტაცეს გაზეთების ფული ასი მან. იგინი ამ ფულით ტფილისიდან იწერდენ და იწერენ გაზეთებს, გაცილებით ნივთიერათ უარეს პირობებში, ვინემ კანტორიდან მიქონდათ და ამნაირათ ებრძვიან კანტორა „იმერეთს". ეს ბრძოლა კი აი რაში გამოიხატება.

ზემოდასახელებულ მეგაზეთეებმა წაგლიჯეს თუ არა კანტორას ასი მან. ფული გამოიწერეს და ყიდულობენ სადგურის შკაფიდან (15 პროც.) დაკლებით გაზეთებს ნაცვლათ კანტორის 20%-სა, მიაქვთ ისინი ბაზარში და ქინზე გამდგარნი ყიდიან კანტორის მიყოლ-მოყოლა და დიდის აგიტაციით ართმევენ მას მუდმივ კლიენტებს. აგონებენ და ეუბნებიან მუშტრებს, რომ კანტორა „იმერეთს" ბევრი გაზეთები ჩვენ უკვე ჩამოვართვით და დანარჩენებსაც მალე ჩამოვართმევთ, იმას გაზეთები აღარ მოუვა და იკეტება. კანტორის მეგაზეთეებს ცემა-ტყეპით ემუქრებოდენ და ემუქრებიან, რომ ჩვენ მუშტრებში არ მიხვიდეთო და ამგვარ ჭორებს უვრცელებენ ამდენი ხნის სახელ მოპოვებულ კანტორა „იმერეთს".

მაგრამ კანტორის ასე უბრალოთ სახელის გატეხას, მაზედ ცრუ ჭორების ვრცელებას ეს გაქცეული მგლეჯელები პირად ჩემ ლანძღვა-თრევას, უშვერი, ქუჩური სიტყვებით გინებასაც თან უმატებენ და ახასიათებენ ჩემს მოქმედებას ისე, როგორც უზნეველ ვაჭარ-ექსპლოატატორისას. მე აქ მესედიც არ შემიძლია მოვიყვანო ის ეპიტეტები, როგორითაც ეს ფეხადგმული მეგაზეთები ჩემს კანტორას და მე მამკობენ ქუჩებში მუდამ დღე. არ მინდა აგრეთვე ჩამოვთვალო ის საშვალებები, რომლითაც ესენი ამ 10 წლის განმავლობაში ამ ჩემ მიერ გამოწვეულ და სამაგალითოთ მოწყობილ კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობას ებრძოდენ და დღესაც ებრძვიან. რაკი ჩემს გარდა მათ პასუხს არავინ თხოვს და მეც დიდის გასაჭირით აასაში ერთხელ მხოლოდ გაზეთის საშვალებით ვიფხან გულს, რადგან ეს საქმე ჩემ კერძო საქმეთ არ მიმაჩნია,—მინდა მაზედ მივაპყრო თვით მკითხველი საზოგადოების ყურადღება და მათი მსჯავრის მოლოდინში ვითმენ ბევრნაირ როგორც ნივთიერ, ისე ზნეობრივ გასაჭირს, ზარალს და დამცირებას. ვნახოთ როდის აღიმაღლებენ ხამართლიან ხმას საზოგადოებიდან და ვინაა დასაგმობი და გასქევებელი ამ საქმიდან, მას აუდგამენ ფეხს და ჩამოაშორებენ ამ წმინდა საქმეს...

სანამ ეს კულტურული საქმე—ბეჭვდითი სიტყვა, მწიგნობრობა მისი ულერსი პიონერებისაგან არ გაიწმინდება, სანამ ამათ მის შეუფერებელ პირებს, მცარცველ-მტაცებლებს და კაპეიკების მოყვარულებს არ ჩამოვაცილებთ მის, სანამ სათავეში იდეიურ, ინტელიგენტ, თუ მოინტელიგენტე პრაქტიკულათ მშრომელ-ენერგიულ ადამიანებს არ ჩავაყენებთ, მანამდი მწიგნობრობის გავრცელების საქმეში წესიერების შემოღება, მისი საზოგადოებრივი ორგანიზაცია და ნორმალური მისი წარმოება კაიხნის ამ საქმეში გამოცდილს, ბევრი ტანჯვა-წვალების ამტანს და მნახველს, შეუძლებლად მიმაჩნია...

ამავე დროს ამ საქმისათვის შეუფერებელ პირობებში, მე დღესაც იმედი არ მაქვს, რომ რომელიმე მცირე 1000—1500-დი) ტირაჟიანმა ქართულმა პერიოდულმა გამოცემამ უქველმოქმედოთ თავი ირჩინოს, ნორმალურათ იარსებოს. და თუ ბევრი მათგანი დღესდღეობით, თუნდაც ამ ომიანობის ხანაში პროვინციებშიც თავს იტყუებენ და ცალკე პერიოდულ გამოცემებს ეწევა,—ეს თითო-ოროლა სხვებთან სამწერლო ასპარეზზე შეუგუებლობის მიზეზით უფრო მოსდით, ვინემ განსაკუთრებულ სამწერლო ნიჭის, უნარის გამოჩენით. ამ მხრით ბევრს არაფერი შესამჩნევი და სასარგებლო დაღი დაუმჩნევია ჩვენი მწერლობისათვის და სხვათა უნიჭო მაჩანჩალაობა არაფერი სანატრელი საქმეა მწერლობაში.

და თუ დღეს მაინც, ამ გაცხარებულ ომიანობის ხანაში, როცა გაზეთი ყველას ციურ მანასარავით ენატრება, მათი ხელმძღვანელები არ მიაპყრობენ მეტ ყურადღებას მათ პრაქტიკულათ გავრცელების საქმეს და მის ნორმალურ პირობებში ჩაყენებას არ ეცდებიან,—დიდი შორს მჭვრეტელობა არაა საჭირო, რომ იწინასწარმეტყველოს ადამიანმა მათი უდღეური, ხანმოკლე არსებობა. მაშ საჭიროა ყოველი გაზეთის მკითხველი ასე თუ ისე ჩაერიოს მისი მოწესრიგების საქმეში და მიიჩნიოს იგი საზოგადოებრივ საქმედ და არა მათი ფულის მოსახვეჭ იარაღად.

**ისიდორე კვიცარიძე.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ღრმესი მადლობა გამოუცხადოთ პლატონ დ. თუროშაძეს, რომელმაც კეთილინება და ზედა იღმის (შორაპნის მაზრა) უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოს შემოწირა ერთი მანეთი.

— დიდ მადლობის და პატივისცემის ღირსია აგრეთვე სამკითხველოს გამგეობის წევრი ნიკ. ტ. ანთაძე, რომელიც ყოველ ღონისძიებას ხმარობს ზემოხსენებულ სამკითხველოს გაუმჯობესებისათვის.

სამ. გამ. მასწ. ტიხონ რ. ნიქაბაძე.

ბ რედაქტორო! აჭარლებისათვის დასახმარებლათ გთხოვთ მიიღოთ ჩემგან ორი მანეთი, რომელიც საადღგომოთ მაჩუქა დედმამამ.

პატარა ქართველი გიმნაზიელი.

დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ
ნ. ს. ჯორჯიკიას შემდეგი რუსული წიგნი:
„Критика психологической теорiи права"
Проф. Л. І. Петражицкаго. ფასი 6 შაური თ.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში
ალექსანდრეს ქუჩა, ტფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.
კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.
— კატალოგები უფასოთ — თ.

სპეციალური სახელოსნო
კარმენ ამაღლობელის
(ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა).



ფეხსაცმელები ევრ. და აზიური, როგორც კაცის, ისე ქალის. სახლში სახმარებელი ჩუსტები კაცის, ქალის და ბავშების რუსული და ბუხრის ქუდები საუკეთესო კარაკულისა.



ფასები სხვებთან შედარებით დაკლებულია.

ძმ. ქორქოლაძის მაღაზიაში
ქუთაისში, მიხეილის ქუჩა, საკუთ. სახლი.
მიღებულია საპნის საკეთებელი სოდა ბორჯომის წყალი. საუკეთესო ფირმების სხვადასხვა ცნობილი აბრეშუმის თესლი.
ვენახის ასასხურავი რაფია „ვერმორელის" ქარხნის სარწყავი მანქანები.
და მისი ყოველივე ნაწილები, აგრეთვე ყოველგვარი ბაკალიური საქონლები.
ფასები ზომიერია.

გამოვიდა და იყიდება
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.
ფასი 60 კაპ. წ.

თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.
1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божiя . . 20 კ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . . . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება.
9) „Поэтъ Грузiи Акакiй" 10 კ.
10) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია.

აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.
1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.
რუსული დ ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.